საქმე №1/ბ-167-17

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

02 მარტი, 2017 წელი თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე ნათია ბარბაქაძე
სხდომის მდივანი ავთანდილ ნასყიდაშვილი

სხდომის სახე - ღია;

ბრალდების მხარე:

პროკურორი - თამარ იაკობიძე;

დაცვის მხარე:

მსჯავრდებული - დ. ი.-ს ძე ხ., დაბადებული XXXX წლის XX მაისს, საქართველოს მოქალაქე, პირადი №XXXXXXXXXXX, ნასამართლობის მქონე, რეგისტრირებული: თბილისი, ჯ.-ს ქუჩა NXX; მცხოვრები: თ., ბ.-ს ქუჩა NXX/X.

ადვოკატი - ე. ს.;

კვალიფიკაცია:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ).

სასჯელი:

1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:

მხარეთა პოზიცია

მსჯავრდებულ დ. ხ.-ს დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა და დ. ხ.-ს მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის განსაზღვრა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, შემდეგ გარემოებათა გამო: დანიშნული სასჯელი არის მკაცრი, არ შეესაბამება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, აქვს მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა (დაავადებულია ტუბერკულოზით, C ჰეპატიტით), ჰყავს ოჯახი, მცირეწლოვანი შვილი, რომლებსაც სხვა მარჩენალი არ ჰყავთ (იხ. სააპელაციო საჩივარი, სხდომის ოქმი).

ბრალდების მხარის მოთხოვნა სააპელაციო საჩივრის შესაგებლით - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება, შემდეგ გარემოებათა გამო: განაჩენი არის კანონიერი, დასაბუთებული, დ. ხ.-ს მიმართ დანიშნული იქნა სამართლიანი და სასჯელის მიზნების რელევანტური სასჯელი, რომელიც შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (იხ. სააპელაციო საჩივრის შესაგებელი, სხდომის ოქმი).

სასამართლომ დაადგინა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 სექტემბრის განაჩენით, დ. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 13 აპრილს, დ. ხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 10 თვისა და 15 დღის ვადით.

2013 წლის 20 მარტს, ქ.თ.-ში, დ. ხ.-ს ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 სექტემბრის განაჩენით, დ. ხ. დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 01 (ერთი) წლის ვადით.

მასვე, ,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე 03 (სამი) წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

სასჯელის ვადის ათვლა დ. ხ.-ს დაეწყო განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან - 2017 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. ვინაიდან, მოცემულ საქმეზე დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებულია განაჩენი მხოლოდ სასჯელის ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თავად დ. ხ.-ს, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის პოზიციის გათვალისწინებით, მსჯავრდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებით მიიჩნევა დადასტურებულად.

პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულ დ. ხ.-ს მიერ განხორციელებულ ქმედებას. საქმეში არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა (მოწმეების მ. მ.-ს, კ. კ.-ს, ხ. ჯ.-სა და მ. დ.-ს ჩვენებები, 2013 წლის 20 მარტის ნარკოლოგიური ექსპერტიზის №XXXXXX დასკვნა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 აპრილის განაჩენი და სხვ.), რაც პრეიუდიციად იქნა მიჩნეული სააპელაციო სასამართლოში, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს მსჯავრდებულ დ. ხ.-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

სასჯელის დასაბუთება

პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. ხ.-ს დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი სასჯელის შემსუბუქების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს და განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

პალატა სასჯელის დანიშვნისას ყურადღებას მიაქცევს სასჯელის მიზნების რეალურად შესრულებას, რაც უკავშირდება სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დანაშაულის ჩამდენი პირის რესოციალიზაციას. ასევე გასათვალისწინებელია ზოგადი პრევენციის მიზნის შესრულების საჭიროება სასჯელის პროპორციული და ეფექტური ღონისძიების გამოყენების გზით.

საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ დ. ხ. არ უარყოფს ნარკოტიკული საშუალებების ექიმის დანიშნულების გარეშე მიღების ფაქტს.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის სანქციის ფარგლებშიც დაენიშნა მას სასჯელი, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

პალატა მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე (საქმე - საქართველოს მოქალაქე ბ.წ - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის

განჩინებაზე, რომლის თანახმად, განჩინების გამოქვეყნების მომენტიდან, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ და ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სხვა ნარკოტიკული საშუალების სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან გამომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ასევე ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისაკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით

პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები[1].

მართალია, დ. ხ. ნასამართლევია და სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის შესაბამისად, 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას. ამასთან, პალატა ითვალისწინებს დ. ხ.-ს პიროვნულ მახასიათებლებს, მის ჯანმრთელობის მდგომარეობას, დანაშაულის ჩადენის დროს და მიაჩნია, რომ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე ალტერნატიული სასჯელი - ჯარიმა.

მსჯავრდებულის პიროვნების, მისი ეკონომიკური მდგომარეობის, მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ დ. ხ.-სთვის 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით ჯარიმის დანიშვნით შესაძლებელი იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების შესრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და დ. ხ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით. ამასთან, საბოლოო სასჯელის განსაზღვრის დროს, პალატა ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რომლის თანახმად, თუ პირს, რომელიც სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში იყო, ძირითად სასჯელად დაენიშნა ჯარიმა ანდა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სასამართლო პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმსუბუქებს მას დანიშნულ სასჯელს ან მთლიანად

[1] იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, მათ შორის №590ა3-15 - 24.12.2015; N101ა3-16 – 28.04.2016;

გაათავისუფლებს მისი მოხდისაგან. შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით დ. ხ.-ს დანიშნული სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეს და განესაზღვროს ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით,-

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ხ.-ს დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 4 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება.

დ. ხ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, დ. ხ.-ს პატიმრობაში ყოფნის პერიოდის (2017 წლის 01 თებერვლიდან განაჩენის გამოტანამდე) გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი შეუმცირდეს და საბოლოოდ განესაზღვროს ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დ. ხ. გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

,,ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დ. ხ.-ს, როგორც ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს, 03 (სამი) წლის ვადით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და მიექცევა აღსასრულებლად გამოცხადებისთანავე;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

მოსამართლე **ნათია ბარბაქაძე**